შორენა ფხაკაძე

ნარცისის მითის ინტერპრეტაციისათვის ფერწერაში

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტექსტის ინტერპრეტაციის საკითხი მნიშვნელოვანი და აქტუალურია. განსაკუთრებით საინტერესო ეს საკითხი ინტერდისციპლინარულ ჭრილშია, როდესაც ხელოვნების ერთი დარგიდან მეორეში ხდება ფაბულის გადატანა. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ ნარცისზე მითისა და მისი ფერწერაში ინტერპრეტაციის საკითხს.

მითი ნარცისის შესახებ მოგვითხრობს, რომ ის იყო ზღვის ღმერთის, კეფისოსის და ნაიადა ლირიოპეს ვაჟი. ნარცისმა თავისი გამოსახულება იხილა წყალში, შეიყვარა და ამ სიყვარულით დალია სული. ღმერთებმა იგი ყვავილად გარდასახეს და ამ მშვენიერ ყვავილს მისი სახელი უწოდეს. არსებობს სხვა ვერსიებიც. ვარაუდობენ, რომ ნარცისი იყო მოკვდავი და კვლავ გაცოცხლებადი ბუნების ძველი მცენარეული ღვთაება. მითი ასახავს პირველყოფილი მაგიისათვის ნიშანდობლივ შიშს, რომელიც ეუფლებოდა ადამიანს საკუთარი გამოსახულების ხილვისას. ნარცისის მითის მიხედვით არის შექმნილი კალდერონის დრამები, გლუკისა და სკარლატის ოპერები და სხვა (ტონია, 2019, გვ. 123).

ნარცისის მითი ჯერ ბერძენი ისტორიკოსის, პავსანიუსის, მოგვიანებით კი ოვიდიუსის გაცილებით რთული ვერსიის მიხედვით გახდა ცნობილი. „მეტამორფოზებში“ თავმოყრილი და მაღალი მხატვრული პოეტური ხერხებით დამუშავებულია 250-მდე ბერძნული და ნაწილობრივ იტალიურ-რომაული მითოლოგიური თქმულებები. ოვიდიუსის მიერ პოეტურად დამუშავებული ყოველი მითის ფინალური ნაწილია ადამიანის გარდაქმნა-გარდასახვა ახალ სულიერ სხეულად თუ უსულო საგნად: ცხოველად ან მცენარედ, ქვად, წყაროდ, ან ციურ მნათობად. ასეთი გარდასახვა თეორიულად გამაგრებულია პითაგორას მოძღვრებით სულთა გადასახლების თაობაზე, რაც XV წიგნის დასაწყისშია გადმოცემული. გარდასახვის ჟანრი პოეტმა ელინისტური ხანის ბერძნული მწერლობიდან აიღო და უმაღლეს მხატვრულ დონრზე აიყვანა (ურუშაძე, 1980, გვ. 23).

განვიხილოთ მითის რამდენიმე ინტერპრეტაცია ფერწერაში. საინტერესოა ამ ნამუშევრების სახელოვნებათმცოდნეო ანალიზიც. მაგალითისათვის, ტინტორეტო, რომელიც რენესანსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ოსტატი იყო, ნარცისის მითის თავისებურ ინტერპრეტაციას წარმოგვიდგენს. დაზგური ფერწერის ეს ნიმუში ვერტიკალურ სწორკუთხედს წარმოადგენს და ზეთის საღებავებით არის შესრულებული ტილოზე. უკეთ აღიქმება საშუალო დისტანციიდან. გამოსახულია ნარცისი - ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა, რომელიც ცალი ხელით ხეს ეყრდნობა, ხოლო მეორე წყალში ჩაუყვია. ფონად მოცემულია პეიზაჟი, რომელიც

სიღრმეში იკარგება. მითოლოგიური ჟანრის ეს ნამუშევარი პირობითი ხასიათისაა, რომელიც იდეალიზაციისაკენ მიისწრაფვის: პეიზაჟი, ნარცისი, წყალი, ოდნავ შესამჩნევი ანარეკლი წყალზე იდეალურად არის დამუშავებული. მძლავრი ფიგურა, რომელიც მიქელანჯელოს მანერას მოგვაგონებს, სანახევროდ ფარავს სასურათე სიბრტყეს. კომპოზიცია გაუწონასწორებელია, მაგრამ დინამიკური. მოძრაობა მიმართულია ქვემოთ - ნარცისი იხრება წყლისაკენ. მხატვრის მიერ ამორჩეული ხედვის წერტილი ფრონტალურია. სურათზე ხაზობრივი საწყისი არ იკითხება. მაყურებელი ვერ რჩება გულგრილი ნამუშევრის აღქმისას და ემოციურად ერთვება. ნამუშევარში, როგორც უკვე აღინიშნა, შექმნილია ღრმა სივრცე. სივრცობრივი ილუზია გამოსახული ფიგურების ზომების განსხვავებით, საგნების მოცულებითა და ფერთა გრადაციის მეშვეობით იქმნება. საგნების კონტურები ხაზგასმულია. განათება თანაბარი და ნეიტრალურია. განათების წყარო და შუქის მიმართულება არ იკითხება. გამოსახულება დეტალიზირებულია. ზედაპირზე კარგად გადმოიცემა ფაქტურის ნაირსახეობა. კოლორიტი იქვემდებარებს ნახატს და თავად აგებს მოცულობას. სჭარბობს ტონალური კოლორიტი. შეიძლება ითქვას, რომ ნამუშევარი მონოქრომულია.

არც ბაროკოს პერიოდის ხელოვანები დარჩენილან გულგრილი მითის მიმართ. კარავაჯოს „ნარცისი“ დაზგური ფერწერის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს. ფორმატით ვერტიკალური მართკუთხედია. შესრულებულია ზეთის საღებავებით ტილოზე. ზომებიდან გამომდინარე კარგად აღიქმება საშუალო დისტანციიდან. გამოსახულია ნარცისი, რომელიც უნუგეშოდ იხედება წყალში. პერსონაჟი რეალისტურ გარემოშია ასახული. ჟანრობრივად, რა თქმა უნდა, მითოლოგიური ფერწერის ნიმუშია. გამოსახულება პირობითია და იდეალიზაციისაკენ იხრება. კომპოზიციის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ ნარცისი, წყალი და მისი ანარეკლი წყალზე. ობიექტი თითქმის მთლიანად ფარავს ფონს. კომპოზიცია გაწონასწორებულია და სტატიკურობისაკენ უფრო იხრება, ვიდრე დინამიკურობისაკენ. მოძრაობა არ შეინიშნება - ნარცისი უძრავია, ერთ პოზაში „გაყინული“ ჩაჰყურებს წყალს. მხატვრის მიერ ამორჩეული ხედვის წერტილი ფრონტალურია. სასურათო სიბრტყეზე გამოსახული ობიექტები მნახველთან ახლოს არის განთავსებული. სურათზე ხაზობრივი საწყისი არ იკითხება. სივრცობრივი ფენა ჩაკეტილია. სივრცობრივი ილუზია საგნების მოცულობის ჩვენებით იქმნება. საგნების კონტურები ხაზგასმულია. მოცულობა გადმოიცემა შუქ-ჩრდილის მეშვეობით. განათება კონტრასტულია. არ იკითხება განათების წყარო, მაგრამ იკითხება შუქის მიმართულება - მარცხნიდან მარჯვნივ. გამოსახული ობიექტების სილუეტები მკვეთრად იკითხება. გამოსახულება დეტალიზირებულია და მის ზედაპირზე გადმოიცემა ფაქტურის ნაირსახეობა. კოლორიტი ექვემდებარება ნახატს. ჭარბობს ტონალური კოლორიტი. ფერადოვანი ლაქების საზღვრები გარჩევადია და ემთხვევიან მოცულობებისა და საგნების საზღვრებს. მხატვარი იყენებს პატარა, ლაქისებურ მონასმებს. გვხვდება ცივი და აქრომატული ფერები. ფერი უბრალოდ ფორმის გასაფერადებელ საშუალებად გვევლინება, მას სხვა დატვირთვა არ აქვს და ასევე ოპტიკურად უტყუარია. შეიძლება გამოიყოს თეთრისა და

ყავისფერის შეხამება, რომელიც დომინირებს ნამუშევარში. შედარებით განათებული და ჩაბნელებული ადგილები კონტრასტულად არის გადმოცემული. ჩრდილები მუქად არის დახატული. ზედაპირის ფერწერული ფაქტურა გლუვია. ცალკეული მონასმების გარჩევა შეუძლებელია.

მხატვარს სურდა, თავისი ნამუშევრით ეჩვენებინა ნარცისზე მითის მისეული ინტერპრეტაცია. ბაროკოსათვის დამახასიათებელი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების გამოყენებით მან ეს ძალიან კარგად შესძლო.

ერთ-ერთი შემდეგი და საინტერესო ნამუშევარი ამ თემაზე არის ჯონ უილიამ უოტერჰაუსის „ექო და ნარცისი", რომელიც 1903 წელს შეიქმნა. ნახატი ლივერპულში, უოკერის სამხატვრო გალერეაში ინახება. სურათი დაზგური ფერწერის ნიმუშია და ჰორიზონტალზე გაშლილ მართკუთხედს წარმოადგენს. შესრულებულია ზეთის საღებავებით ტილოზე. კარგად აღიქმება საშუალო დისტანციიდან. კარავაჯოს ნამუშევრისაგან განსხვავებით, მასზე ორი ფიგურაა წარმოდგენილი: ნარცისი და ექო. ექო უიმედოდ შესცქერის ნარცისს, რომელიც, თავის მხრივ, წყალში იხედება და საკუთარ გამოსახულებას თვალს ვერ აშორებს. პერსონაჟები რეალისტურ გარემოში არიან გამოსახული. გამოსახულება პირობითია და იდეალიზაციისაკენ იხრება. კომპოზიციის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ პეიზაჟი ფონზე, ექო, ნარცისი და ასევე ყვავილი, რომელიც, როგორც ჩანს, ნარცისის პერსონაჟის გარდასახვის მომასწავებელია. კომპოზიცია გაწონასწორებულია და დინამიკური. მოძრაობა რამდენიმე მიმართულებით შეინიშნება: ექო, რომელიც იხრება ნარცისისაკენ და თავად ნარცისი გადახრილია წყლისაკენ. მხატვრის მიერ ამორჩეული ხედვის წერტილი ფრონტალურია. ასახული ობიექტები მნახველთან საკმაოდ ახლოს არის გამოსახული. სურათზე ხაზობრივი საწყისი არ იკითხება. მაყურებელი ჩართულია გამოსახულების აღქმისას. რაც შეეხება სასურათო სივრცის აგებას, შექმნილია ღრმა სივრცე. სივრცობრივი ილუზია საგნების მოცულობის ჩვენებით იქმნება. საგნების კონტურები ხაზგასმულია. მოცულობა, რომელიც შუქ-ჩრდილის მეშვეობით იქმნება, კარგად არის გადმოცემული. განათება თანაბარია. განათების წყარო და შუქის მიმართულება არ იკითხება. ასახული ობიექტები მკვეთრი, გამომსახველი და ფასეულია. გამოსახულება დეტალიზირებულია. ზედაპირზე ფაქტურის ნაირსახეობა კარგად გადმოიცემა. კოლორიტი ნახატსა და მოცულობას ექვემდებარება. გვაქვს ტონალური კოლორიტი. ფერადოვანი ლაქების საზღვრები გარჩევადია. მხატვარი პატარა, ლაქისებურ მონასმებს იყენებს. კარგად იყენებს ცივი და თბილი, კონტრასტული ფერების დაპირისპირებას. ფერი ოპტიკურად უტყუარია. შესაძლებელია გამოიყოს მწვანესა და ნაცრისფერის რიტმული განმეორება. დომინანტი ფერია მწვანე, რომლის განვითარებასაც შეგვიძლია თვალი გავადევნოთ. ნამუშევარი მთლიანად კარგი განათების ფონზე არის წარმოდგენილი. ჩრდილები გამჭვირვალედ არის დახატული. ზედაპირის ფერწერული ფაქტურა გლუვია. ცალკეული მონასმების გარჩევა შესაძლებელია. მხატვარმა მითის ძალიან საინტერესო ინტერპრეტაცია გვაჩვენა.

მეოთხე და მნიშვნელოვანი ნამუშევარი, რომელიც ნარცისზე მითის ინტერპრეტაციას წარმოადგენს, სალვადორ დალის ეკუთვნის და მას „ნარცისის მეტამორფოზი“ ეწოდება. 1938 წელს დალიმ ფროიდი გაიცნო. მხატვარი მასთან შეხვედრას ვენაშიც ცდილობდა, თუმცა, საბოლოოდ ლონდონში, საკუთარ სახლში ესტუმრა. ავსტრიელი მწერალი შტეფან ცვაიგიც ინგლისის დედაქალაქში ცხოვრობდა და ის დალის პოეტ ედვარდ ჯეიმზთან ერთად ფროიდთან გაჰყვა. დალიმ სხვა სიურრეალისტებისაგან განსხვავებით, ფროიდზე გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა. მომდევნო დღეს ფროიდმა შტეფან ცვაიგს წერილი გაუგზავნა, სადაც სტუმრობისათვის მადლობას უხდიდა. (პერერა, 2013, გვ. 69)

ფროიდი „ნარცისის მეტამორფოზით“ აღფრთოვანებას ვერ მალავდა. დალის ფერწერულ ტილოზე ნარცისის სხეული გაორებული ხელის მტევნის სახით ჩნდება. ხელში კვერცხი უჭირავს, საიდანაც ყვავილი აღმოცენდება. ცენტრში ცდუნების, უარისა და იმედგაცრუების სცენაა ნაჩვენები. ულამაზესი ადონისების გარემოცვაში მხატვარი ნარცისიზმზე გვესაუბრება, რომლის ნათელ მაგალითსაც პიედესტალზე შემდგარი ფიგურა განასახიერებს. ნარცისის მოპირდაპირე მხარეს აღმართულ მთებს შორის ხელის გამოსახულება, ექოს მსგავსად, შორს კიდევ ერთხელ ჩნდება. ეს ექო თავდავიწყებით შეყვარებული ნიმფაა, თუმცა, ის შესაძლოა, ლორკას ხსოვნასაც ეძღვნებოდეს. დალიმ „პარანოიდული პოემაც“ კი დაწერა და მასაც „ნარცისის მეტამორფოზი“ უწოდა. პოემაში მოთხრობილია, თუ როგორ შთანთქა ნარცისი წყალზე არეკლილმა საკუთარმა გამოსახულებამ. მისი სახისგან მხოლოდ ოვალი შემორჩა, რომელიც კვერცხად გადაიქცა. კვერცხიდან ყვავილი, ანუ „ახალი ნარცისი, გალა - ჩემი ნარცისი“ იშვა (პერერა, 2013, გვ. 70).

„ნარცისის მეტამორფოზი“ დალიმ 1937 წელს შექმნა. ის დაზგური ფერწერის ნიმუშია და ჰორიზონტალზე გაშლილ მართკუთხედს წარმოადგენს. შესრულებულია ზეთის საღებავებით ტილოზე, კარგად აღიქმება საშუალო დისტანციიდან. პერსონაჟები პირობით გარემოში არიან გამოსახული. ჟანრობრივად, რა თქმა უნდა, მითოლოგიურია. გამოსახულება პირობითია და ექსპრესიული უტრირებისაკენ იხრება. კომპოზიციის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ ხელის მტევნის სახით წარმოდგენილი ნარცისის გაორებული ფიგურა, პეიზაჟი ფონზე, ჭადრაკის დაფა და ადამიანთა ფიგურები. კომპოზიცია გაწონასწორებული და დინამიკურია. მნახველს შთაბეჭდილება ექმნება, რომ ეს გაორებული ხელის მტევნები მოძრაობაშია. მხატვრის მიერ ამორჩეული ხედვის წერტილი ფრონტალურია. სასურათო სიბრტყეზე განთავსებული ობიექტები დამთვალიერებელთან საკმაოდ ახლოს არის განთავსებული. სურათზე ხაზობრივი საწყისი არ არის მკვეთრად გამოხატული. მაყურებელი ჩართულია გამოსახულების აღქმისას. შექმნილია ღრმა სივრცე. სივრცობრივი ილუზია გამოსახული ფიგურების ზომების განსხვავებითა და საგნებისა თუ არქიტექტურის მოცულობის ჩვენებით იქმნება. საგნების კონტურები ხაზგასმულია. მოცულობა შუქ-ჩრდილის მეშვეობით გადმოიცემა. განათება კონტრასტულია და ერთგვარად მისტიკურ ხასიათს ატარებს. არ იკითხება განათების წყარო, მაგრამ იკითხება შუქის მიმართულება - მარცხნიდან მარჯვნივ. გამოსახული ფიგურებისა

და ობიექტების სილუეტები მკვეთრად იკითხება. გამოსახულება დეტალიზირებულია. გამოსახულების ზედაპირზე ფაქტურის ნაირსახეობა კარგად გადმოიცემა. კოლორიტი იქვემდებარებს ნახატს და თავად აგებს კომპოზიციას. გვაქვს ტონალური კოლორიტი. თითქოს სურათი ორად არის გაყოფილი - მარცხენა ნაწილში ჭარბობს თბილი, ხოლო მარჯვენაში ცივი ფერები. ფერადოვანი ლაქების საზღვრები გარჩევადია და ემთხვევიან მოცულობებისა და საგნების საზღვრებს. მხატვარი პატარა ლაქისებურ მონასმებს იყენებს. ფერი არ გვევლინება მხოლოდ ფორმის გასაფერადებელ საშუალებად - ცივი და თბილი ფერების მონაცვლეობა, დამატებითი ფერების გამოყენება ერთგვარ მისტიკურობას სძენს მთელ ნამუშევარს. ფერი ექსპრესიულია. რთულია რომელიმე ფერის ან ფერთა შეხამების რიტმული განმეორების გამოყოფა. შეუძლებელია თვალი გავადევნოთ რომელიმე ფერის განვითარებას, რადგან ნამუშევარი ძალიან დატვირთულია კოლორიტის თვალსაზრისით. არ გვაქვს დომინანტი ფერი ან ფერთა შეხამება. შედარებით განათებული და ჩაბნელებული ადგილები კონტრასტულად არის გადმოცემული. ჩრდილები საკმაოდ მუქად არის დახატული. ზედაპირის ფერწერული ფაქტურა გლუვია. შეუძლებელია ცალკეული მონასმების გარჩევა.

მხატვარს სურდა, ეჩვენებინა ცნობილი მითის თავისებური, სიურრეალისტური ინტერპრეტაცია, რასაც წარმატებით გაართვა თავი.

ამგვარად, მითი ნარცისზე ძალიან საინტერესო ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. არ დარჩენილა ეპოქა დაზგური ფერწერის განვითარების ისტორიაში, რომელშიც არ შექმნილა ამ მითზე ნამუშევარი. რა თქმა უნდა, ამ ოთხი ნამუშევრით არ ამოიწურება აღნიშნული საკითხი. კიდევ ბევრი ნიმუში შეიქმნა ამ მითის მიხედვით. მათ შორისაა იან კოსიერსის, იოჰან ჰაინრიხ თიშბაინ უფროსის, ფრანც კაიცის და სხვათა ტილოები. თითოეული მათგანი თავისებური ხედვით, მისი თანამედროვე მიმდინარეობის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების საშუალებით გადმოგვცემს ნარცისის ისტორიას.

ლიტერატურა:

პერერა როდრიგესი მ., დალი. დიდი მხატვრები. თბილისი: პალიტრა L. 2013.
პრიეტო ა. გ., კარავაჯო. დიდი მხატვრები. თბილისი: პალიტრა L. 2011.
ტონია ნ., ანტიკურობის ლექსიკონი. ტ. 2. თბილისი: ბაკმი. 2019.
ურუშაძე ა., ოვიდიუს ნაზონი და მისი შემოქმედება. წინასიტყვაობა წიგნში „მეტამორფოზები“.თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1980.